ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №993680

ნომერი: AR1176793

თარიღი : 12.11.2013

გაცემის თარიღი : 12.11.2013

გაცნობის თარიღი : 13.11.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბაგების მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით., (ნაკვ.1/74) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- რამაზ მოსაშვილი პ/ნ 01005002608
- თბილისი კ.მარჯანიშვილის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 25 ნოემბრის #01/2685 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 12 ნოემბერს #AR1176793 განცხადებით მომართა სს „იბერია უძრავი ქონების“ დირექტორმა, რამაზ მოსაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 25 ნოემბრის #01/2685 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების შეცვლა, კერძოდ, ბინების საერთო ფართობი, ნაცვლად 1433.80 კვ.მ-ისა, მიეთითოს 1471.40 კვ.მ (ბინების ფართობი - 1433.80 კვ.მ და აივნების ფართობი - 37.6 კვ.მ), ხოლო საზაფხულო ფართობიდან (374.40 კვ.მ) გამოკლებულ იქნას აივნების ფართობი (37.6 კვ.მ) და მიეთითოს 336.80 კვ.მ.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 25 ნოემბრის #01/2685 ბრძანებით შეთანხმდა ქ.თბილისში, ბაგების მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით (ნაკვ. 1/74), სს „იბერია უძრავი ქონების“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მშენებარე საცხოვრებელი სახლების ჯგუფის (სახლი #13) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მოგვიანებით, ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 24 ოქტომბრის #984049 ბრძანებით, მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლის გამო, გაიცა ახალი მშენებლობის ნებართვა.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში მითითებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში, საზაფხულო ფართობში (374.40 კვ.მ), ტერასების ფართობთან ერთად დაფიქსირებულია აივნის ფართობი 37.6 კვ.მ., ხოლო ბინების საერთო ფართობს წარმოადგენს 1433.80 კვ.მ. სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, აივნის ფართობის საზაფხულო ფართობიდან გამოყოფა და ბინების საერთო ფართობისთვის მიმატება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს რამაზ მოსაშვილის 2013 წლის 12 ნოემბერს #AR1176793 განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 25 ნოემბრის #01/2685 ბრძანებაში. კერძოდ, ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში მშენებარე ობიექტის ბინების საერთო ფართობი და საზაფხულო ფართობი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   - ბინების საერთო ფართობი: 1471.40 კვ.მ
     მათ შორის: აივნების ფართობი: 37.6 კვ.მ

   - საზაფხულო ფართობი (ტერასების ფართობი): 336.80 კვ.მ.
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 25 ნოემბრის #01/2685 ბრძანება სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელი;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 25 ნოემბრის #01/2685 და 2013 წლის 24 ოქტომბრის #984049 ბრძანებებთან ერთად;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. შარტავას ქ. N7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.